სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სოფიო სოიტაშვილი

მოხისის ონომასტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი პროფესორი: ვიანორ ახალაია

გორი 2020

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განილულია ქარელის რაიონში შემავალი სოფელ მოხისის ონომასტიკა. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ამ სოფლის ონომასტიკური თვალსაზრისით შესწავლის პირველ ცდას.

მართალია ონომასტიკის შესწავლას ენათმეცნიერებაში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული დარგის კვლევა ამოწურული მაინც არარის. ამიტომ ყოველი ნაშრომი, რომელიც ხელს შეუწყობს, ამ კვლევის შედეგების გაუმჯობესებას, მნიშვნელოვანია და აქტუალური. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომის აქტუალურობაც ამით არის განპირობებული. მიგვაჩნია, რომ ნაშრომი გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აღნიშნული დარგის უკეთ შესწავლას.

ნაშრომის მიზანი იყო სოფელში დაცული ისეთი ონომასტიკური მასალის გამოკვლევა, როგორიცაა: სოფლის სიძველეები, წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ანთროპონიმები (მეტსახელები) და გვარები. ამისთვის აუცილებელი იყო შესაბამისი მასალის აღწერა, დაჯგუფება და მათი ენათმეცნიერული ანალიზი.

ნაშრომში გააანალიზებულია ის მასალები, რომლებიც მოპოვებული იქნა ჩვენ მიერ საველე მუშაობისას და ისტორიულ დოკუმენტებში. მეცნიერული კვლევა ემყარება აღწერით და ისტორიულ-შედარებით მეთოდს.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში განხილული მასალები და მიღებული შედეგები გარკვეულ დახმარებას გაუწევს, როგორც ქართული დიალექტოლოგიით, ასევე ქარელის რაიონის ონომასტიკის კვლევით დაინტერესებულ პირებს.

S.Soitashvi

Onomastics of Village Mokhisi

Annotation

In the present work is discussed onomastic of the village Mokhisi of Qareli region.

This work is the first attemptto study this village from the onomastic point of view.

It's true, that many researche were dedicated to the study of onomastic in linguistics, however, researching of this field is not yet exhausted. Therefore, each work which will help Improve of the results of this research is important and actual. We believe that the actuality of our work is due to this. We believe that the work will somehow contribute to better studying of the field.

The purpose of the work was to study the onomastic material protected in the village, such as: village antiquities, customs, holidays, toponyms, hydronyms, anthroponyms (nicknames) and surnames. For this it was necessary describing, grouping of the relevant materialsand their linguistic analysis.

In the work is analyzed the materials, which were obtained by us during the field work and in the historical documents. The scientific research is based on the description and historical-comparison method.

We believe, that the materials discussed in the workand received results will provide some assistance for kartlian dialectology and for the persons interested with the researchof onomasticof Qareli region.

შინაარსი

(სარჩევი)

თავფურცელი.

ანოტაცია.

შინაარსი (სარჩევი).

შესავალი.....7

ტექსტის ძირითადი ნაწილი.

თავი I-სოფლის შესახებ არსებული უძველესი ცნობები.....10

1.1 სოფლის გეოგრაფიული მიმოხილვა.....10

1.2 სოფლის ისტორიული მიმოილვა.....10

თავი II-სოფლის სიძველეები.....15

2.1 ეკლესიები.....15

2.2 შინ მოუსვლელთა მემორიალი.....18

2.3 მუხის ხე.....18

2.4 ოლეს
ხე.....18
2.5 თელას
ხე.....19
2.6 ეპიტაფიები.....19
თავი III-სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები.....21
3.1 ჭიაკოკონობა 21
3.2 ჭონა.....21
3.3 მეკვლეობა.....22
3.4 გიორგობა..... 22
3.5 კვირაცოვლობა.....23
3.6 თაგოთაგოობა.....24
თავი IV-სოფლის ტოპონიმები.....25
4.1 მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ.....25
4.2 მარტივფუძიანი ტოპონიმები.....26
4.3 წარმოქმნილი ტოპონიმები.....27
4.3.1 ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება (ნა და სა პრეფიქსებით).....27
4.3.2 -ურ, -ულ-ა სუფიქსიანი ტოპონიმები.....29
4.3.3 -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები.....29
4.3.4 -თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები.....29
4.4 სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები.....30
თავი V-სოფლის ჰიდრონიმები.....31

5.1 ძირეული ჰიდრონიმები.....31

5.2 რთულფუძიანი ჰიდრონიმები.....31

თავი VI-ანთროპონიმები (მეტსახელები).....33

6.1 გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები.....33

6.2 ქცევისა და მოქმედების გამომხაველი მეტსახელები.....34

6.3 თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები.....34

6.4 ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები.....35

6.5 მამის სახელები მეტსახელებად.....35

6.6 კნინობით-მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები.....36

6.7 უცნობი სემანტიკის მეტსახელები.....37

თავი VII-გვარები.....38

7.1 სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები გვარსახელებზე.....38

7.2 -ძე სუფიქსიანი გვარები.....42

7.3 -შვილი სუფიქსიანი გვარები.....45

7.3.1 ეპონიმური ტიპის გვარსახელები.....46

დასკვნა.....49

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....51

საილუსტრაციო მასალა.....53

შესავალი

ონომასტიკა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც საკუთარ სახელებს შეისწავლის. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახელის შერქმევის ხელოვნებას. ონომასტიკა ნაწილია ენის შემსწავლელი მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ, ადამიანთა და სხვა საკუთარი სახელების წარმოშობასა და განვითარებას, მათ ენობრივ ცვლილებებს, ფუნქციასა და სტრუქტურას. [16: 8]

ამ დიციპლინას ითავისებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ისტორია, გეოგრაფია, ეთნოლოგია, ლიტერატურა.... საქმე ისაა, რომ ხშირად ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სხვა სამეცნიერო კვლევები სწორედ საკუთარ სახელზე გადის. მაგრამ საკუთარი სახელი, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვა, სიტყვა კი ლექსიკური ერთეულია, რომელსაც სწავლობს ლინგვისტიკა. ენათმეცნიერება მოიცავს არა მხოლოდ ფონეტიკასა და გრამატიკას, არამედ ლექსიკოლოგიას და ლექსიკოგრაფიასაც. ონომასტიკა ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს იგი

თითქმის დამოუკიდებელ დარგად არის გამოყოფილი, მისი შესასწავლი სპეციპიკური მასალის გამო - ესაა სივრცესა და დროში დასაბამითგან განთავსებული ლექსიკური ერთეულები - საკუთარი სახელები. [6: 6]

თანამედროვე ენებში ახალ ობიექტთა სახელდებისათვის, როგორც წესი რეალობა მოტივირებული ნიშნების მიხედვით გამოიხატა, რასაც მეორეული ნომინაცია ეწოდება. მისი შედეგი აღიქმება, როგორც შინაარსითა და ფორმით მოტივირებული ერთეული. ლექსიკური ერთეულის შინაფორმაში ხდება მითითება იმ მიზეზზე, რომელმაც განაპირობა მოცემული მნიშვნელობის გამოხატვა. [5:354]

ონომასტიკურო მასალების ძიებისას სწორედ, ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის ან ლექსიკური ერთეულის სახელდების ისტორია უნდა იქნეს შესწავლილი.

ონომასტიკა აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს, ესენია:

ტოპონომიკა - შეისწავლის ადამიანთა სახელებს;

ჰიდრონომიკა - სწავლობს მდინარეებს, წყაროებს, ტბებს;

ანთროპონიმიკა - მეცნიერებაა ადამიანთა გვარ-სახელების, მეტსახელების შესახებ;

კოსმონომიკა - ციურსხეულთა შემსწავლელი მეცნიერებაა;

ზოონომიკა - ცხოველთა სახელების შემსწავლელი მეცნიერება;

ეთნონიმიკა - მეცნიერება, რომელიც სწავლობს ხალხების სახელებს და ა.შ. [16: 8]

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ მოხისის ონომასტიკა.

წარმოდგენილი ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, იმ ონომასტიკური მასალის აღწერა და კლასიფიკაცია, რომელიც სოფელშია დაცული.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ - შედარებითი მეთოდი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ აღწერითი მეთოდით განვახორციელოთ მოპოვებული მასალის კლასიფიკაცია, ისტორიული წყაროების დოკუმენტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, აღვწერეთ სოფელში არსებული სიძველეები, ანთროპონიმები (მეტსახხელები), ტოპონიმები, ჰიდრონიმები, გვარები, გადმოცემით სოფლის წეს-ჩვეულებები, ტრადიიები და დღესასწაულები.

ისტორიულ - შედარებითი მეთოდის საშუალებით, ქრონოლოგიურად ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქართველ ენათმეცნიერებათა მოსაზრებები, ტოპონიმებსა და გვარებთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურა და საილუსტრაციო მასალა.

პირველ თავში განხილულია სოფლის შესახებ არსებული უძველესი ცნობები, კერძოდ სოფლის გეოგრაფიული დს ისტორიული მიმოხილვა.

მეორე თავში მოცემულია სოფლის სიძველეები: ეკლესიები, შინ მოუსვლელთა მემორიალი, მუხის ხე, ოლეს ხე, თელას ხე, ეპიტაფიები.

მესამე თავში წარმოდგენილია სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები: ჭიაკოკონობა, ჭონა, მეკვლეობა, გიორგობა, კვირაცხოვლობა, თაგოთაგოობა.

მეოთხე თავში მოცემულია სოფლის ტოპონიმები. წარმოდგენილია მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგის შესახებ, ასევე გამოყენებულია მარტივ ფუძიანი და წარმოქმნილი ტოპონიმები. წარმოქმნილ ტოპონიმებში გაანალიზებულია პრეფიქს-სუფიქსური წარმოება (ნა- და სა- პრეფიქსებით), -ურ, -ულ-ა სუფიქსიანი, -ებ სუფიქსიანი და -თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები.

მეხუთე თავში წარმოდგენილია სოფლის ჰიდრონიმები, კერძოდ, ძირეული და რთულფუძიანი ჰიდრონიმები.

მეექვსე თავში მოცემულია ანთროპონიმები (მეტსახელები), გამოყოფილია მეტსახელის 7 სემატიკური ჯგუფი, ესენია: 1 გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელი. 2 ქცევისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელი. 3 თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელი. 4 ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელი. 5 მამის სახელები მეტსახელებად. 6 კნინობით-მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები. 7 უცნობი სემატიკის მეტსახელები.

მეშვიდე თავში წარმოდგენილია -ძე და შვილი სუფიქსიანი გვარები. ეპონიმური ტიპის გვარსახელები.

თავი I. სოფლის შესახებ არსებული უძველესი ცნობები

1.1 სოფლის გეოგრაფიული მიმოხილვა

სოფელი მოხისი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე სურამულას მარცხენა მხარეს, სიმაღლე ზღვის დონიდან 680 მ, მანძილი რაიონული ცენტრიდან 21 კმ^2. მოხისის საკრებულოში შედიან სოფლები: კოდავარდის უბანი და ზემო შაქშაქეთი. [8:142]

მოხისს დიდი ფართობი უჭირავს: მისი საზღვრები იწყება მტკვრის ნაპირიდან, მას ესაზღვრება სოფლები: ბერძენაული და კოდავრდის უბანი ჩრდილოეთით,

დასავლეთით კი - ვაყა , მასვე აკრავას ჩრდილოეთით ფცისა და დირბის მინდვრები.[9: 41]

მოხისს ვახუშტი უწოდებს დაბას და ამბობს: „სომანეთსა და ქვენატკოცას შუა არს მოხისი, დაბა დიდი , ცეცხლიჯვრის მთის ძირს; და ამის მინდორი მტკვრამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა“.[3; 393]

მოხისს ჩამოუდის მდინარე სურამულა, რომელსაც ვაყის ბოლოში შეერთვის ალის ფრონე. ასევე ჩრდილოეთ მხარეს ჩამოუდის სარწყავი არხი, რომელიც სათავეს მდინარე მტკვრიდან იღებს , კერძოდ ჭერათხევიდან და ისევ მტკვარს უერთდება .

სოფლის სამხრეთ მხარეს ესაზღვრება სარკინიგზო მაგისტრალი.

1.2 სოფლის ისტორიული მიმოხილვა

ფეოდალური საქართველოს ერთიანობის ხანაში (XI-XIII სს) მოხისი საქართველოს სამეფო კარის კუთვნილი („ სადედოფლო“) ტერიტორია იყო. მოხისის ტერიტორია ადრინდელ ფეოდალურ ხანიდან დასახლებული ყოფილა. სოფელზე გადადიოდა მნიშვნელოვანი გზა (შიდა ქართლიდან- გორი-რუისი, საღოლაშენი - არადეთი- მოხისი- ვაყა- ბორჯომის ხეობა), რამაც გარკვეული კვალი დაამჩნია შუა საუკუნეებში სოფლის ეკონომიკურ, სოციალურსა თუ კულტურულ ცხოვრებას. [12: 378] .

საქართველოს მეფეებმა XIV საუკუნეში სოფელი მოხისი სვეტიცხოველის საკათალიკოსო ეკლესიას შესწირეს, 1392 წელს მოხისი იხსენიება მცხეთის ეკლესიის მამულების სითარხნის გუჯარში. 1559 წლის 1 დეკემბრით დათარიღებულ ერთ საბუთში იგი კვლავ მოხსენიებულია , როგორც საეკლესიო სოფელი . 1581 წელს სიმონ მეფემ მოხისი კვლავ სვეტიცხოველს დაუმტკიცა .

XVI საუკუნის დასაწყისში, ზემო ქართლის დასავლეთი ნაწილი, მათ შორის, მოხისიც იმერეთის სამეფო გამგებლობაში შევიდა და მის შემადგენლობაში კარგა ხანს დარჩა. როგორც ჩანს , XVII საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკოსებმა სოფელი ისევ დაიბრუნეს. 1660 წელს დომენტი კათოლიკოსის მიერ ხუდადა ხოჯაშვილისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია: „ მოხისი იმერელ მეფისა იყო და ცხენი ყოლია დიდად გამოჩენილი,ის ცხენი უთხოვია მეფეს ბატონის კათალიკოსისათვის....მოუხსენებია მას მოვლინებულსა წერეთელს კათალიკოსისთვისა : იმერელ მეფე თუ შესწირავს სვეტს ცხოველს თქვენც უბოძეთ ცხენი და 40 თუმანი თეთრი... და რა ემხილა სიტყვანი მეფისთვისა მაშინვე ებრძანა მიცემა.“[8:142- 143].

მოხისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო არაერათხელ გამხდარა საომარი ასპარეზი . 1512 წელს აქ ერთმანეთს შეებრძოლენ იმერეთის მეფე ბაგრატი და მისი ძმა ვახტანგი: ,,მოუხტა მეფე ბაგრატ იმერთა მოხისს ვახტანგს , სძლო ვახტანგს“.[3:393].

1520 წელს მოხისთან მოხდა ბრძოლა ქართლის მეფე დავით X-ს და მამია გურიელს შორის . ბრძოლაში გამარჯვება გურიელს დარჩა.

1785 წლის აპრილში ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა, მოხისის მახლობლად, სასტიკად დაამარცხა თურქებისა და ლეკების რაზმი. სოფლის მახლობლად მდებარე ერთ ადგილს დღესაც „ ნაომრებს“ უწოდებენ, რაც ალბათ ამ ბრძოლებთან არის დაკავშირებული.

მოხისი მოხსენიებულია 1707 წლით დათარიღებულ ერთ პირობის წიგნში ,რომელიც ვინმე ბერი გელდიაშვილს მიუცია სვეტიცხოვლის დეკანოზისათვის:,, ესე... მტკიცე და უცილობელი წიგნი მოგართვი მე გელდიაშვილმა ბერმა ...თქვენ სვეტიცხოვლის დეკანოზს ზუბლიძეს არდაშელს...თქვენი განაყოფისა ყმა ვიყავ და მოხისს ვესახლე, მომვლელი და პატრონი აღარ მყვანდა ...ავიყარე და რუისს ჩამოველ, კლიმიაშვილ იასეს მეზვრედ დავუდექ“ ვინ იცის შეიძლება სწორედ ამ კაცმა დაუდო სათავე რუისში დღეს მცხოვრებ გელდიაშვილების გვარს.

ავთანდილ ბეგთაბეგიშვილის ანდერძში ,რომელიც 1796 წლის 25 ივლისს არის შედგენილი, მის კუთვნილ სხვა მამულებს შორის მითითებულია მოხისიც. „ მოხისს რამაზაშვილი ლევანისაგან მოსყიდული ქლიბაძის მამული“, ასევე „ გუგულის ქედზედ საირმე ხოდაბუნი რამაანთაგან მოსყიდული“ აღნიშნულია ამ საბუთში.

1787 წელს პეტრე ავალიშვილი მოხისელ სესია ელიაშვილს და მის ბიძაშვილს ზურაბს ყმობაზე შედავებია . ავალიშვილი ამტკიცებდა , რომ ეს ელიაშვილები ჯავახები არიან,იქიდან გადმოვიდნენ და ჩვენ გვეყმენო. როცა ხეობიდან ავიყარეთ და ბრეთში ჩამოვედით ესენიც აქ ჩამოვიყვანეთ ყმათ, მაგრამ თავს აღარ გვიდებენო.ელიაშვილ სესიას მისთვის ასეტი პასუხი გაუცია:,,ჩვენ მკვიდრი მოხისელი ელიაშვილები ვართ, სვეტიცხოველის ყმებიო. ავის დროს მიზეზით ჯავახეთს გადავსულვართ და როცა უკან დავბრუნდით ჩვენს მამულში შენობა აღარ იყო და თქვენთან ხიზნად ვიდექით...ჩვენს თავს სვეტიცხოველს ვერ დაუკარგავთო“.

საინტერესო მასალებს შეიცავს ივანე კვალიაშვილისა და რევაზიშვილების დავა ბატონყმობის გამო. კვალიაშვილები საეკლესიო აზნაურები იყვნენ, მოხისში ცხოვრობდნენ და სვეტიცოვლის საკათალიკოსოს ეკუთვნოდნენ. 1768 წლის 20 იანვარს , ატონ I კათალიკოსის მგალობელი სოლომონ კვალიაშვილისათვის მოხისის მოსახლე რევაზიშვილები უწყალობებია თავიანთი მამულით. შემდგომში მათ შთამომავლებს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა, რაც კარგად ჩანს რევაზიშვილების მიერ ანტონ II კათალიკოსისადმი მირთმეულ არზიდან: „ ღმერთმან ყოვლად უწმინდესის პატრიარხის ჭირი თქვენს ყმას მუხისელთ რევაზიშვილებს მოსცეს ...ხუთი კომლი ერთი თოხუმისანი გახლავართ , მკვიდრი მუხისელნი ერთი კომლი აიყარა კახეთს გადავიდა...და ოთხი კომლი ჩემს მამულზე გახლავარ .ჩვენ რომ ობლები გახლდით იმ ჟამათ ერთი ბებერი გვყანდა .კვალიაშვილმა ივანემ ...ეს ბებერი ძუძუებით ჩამოაკიდინა , აამდენი სცეს ,რომ ათი ფრჩხილი ფეხისა დასცვივდა , ჩვარში გამოკრული ჰქონდა, ჭირის სანაცვლოდ რომ შეიქმნა ისიც თან ჩავატანეთ, ქვეყანა ამის მოწმე გახლავს. რაც წიგნები ჰქონდა თუ წყალობისა თუ ნასყიდობისა კედელში ჩატანებული და შენახული ჰქონდა, რომ ჩვენთვის ინახავდა .... ვინცობაა ობლებს არ დაეკარგოსო. ცემით რომ ძალა

დაატანა მერე გამოუცხადა კედელში ძებსო... ის წიგნი რომ ჩაიგდო მას აქეთ ყმად გვეჭიდება... ღმერთი გადღეგრელებს გვიპატრონე“. ეს მწვავე დავა რევაზიშვილების სასარგებლოდ დამთავრებულა და კათალიკოსს ისინი სახასოდ დაუდვია, თუმცა 1800 წელს , გიორგი XII-ის მეფობის დროს კვალიაშვილებმა მაინც შეძლეს მათი უკან დაბრუნება.

საეკლესიო ყმების 1720 წელს შედგენილი ნუსხის მიხედვით მოხისში 47 კომლი მცხოვრები ყოფილა, ხოლო სვეტიხოველის ეკლესიების ყმა- მამულის აღწერის სხვა საბუთის თანახმად , რომელიც პირობითად 1736- 1744 წლებით თარიღდება , მათი რიცხვი 34 კომლამდე შემცირებულა. XVIII საუკუნის 40-იან წლებში მოხისში 34 კომლს უცხოვრია, საიდანა 20 კომლი სვეტიხოვლის ეკლესიის ყოფილა.

გარდა ეკლესიისა მოხისში ყმა-მამულები ჰქონდათ: კვალიაშვილებს, ვეზირიშვილებს, ავალიშვილებს ,იყვნენ სახაზინო გლეხებიც. საინტერესოა იმდროინდელი მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობაც. საბუთში მითითებულია ,რომ ჩამოთლილ კომლთა ნახევარი ღარიბი ყოფილა , 20 კომლს ყოლია სულ 11 ძროხა, 3 ცხენი და 2 „ ბუჭულა “წისქვილი.

XIX საუკუნის დასაწყისში მოხისში მცხოვრებთა რაოდენობა მკვეთრად შემცირებულა , 1804 წლის მდგომარეობით სოფელში 9 კომლია (48 კაცი) აღრიცხული , შემდგომ პერიოდში , იგი სხვა პუნქტებთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება ,ისე, რომ 1818 წელს უკვე 36 კომლისათვის (199 კაცი) [8:143-146].

XVII ს-ის მეორე ნახევრიდან და XVII ს-ში მოხისი კვლავ საეკლესიო სოფელი იყო. სვეტიცხოველს მოხისში თავისი მოურავი ჰყავდა. ამილახორთა სათავადოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მოხისის ყმა-მამულის ნაწილზე წილს იღებდნენ ამილახორებიც. 1766 წ-თვის მათ სოფლის ყმა-მამულის მერვედი ეკუთვნოდათ. გვიანდელი ფეოდალური ხანის ადმინისტრაციული ტერიტორიის დაყოფით მოხისი ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა,რასაც ამილახორები სარდლობდნენ .სოფლიდან თოფოთ, ფარ-ხმალითა და მშვილდისრით შეიარაღბული 50 მოლაშქრე

გამოდიოდა.მოხისელი მოლაშქრეთაგან ორი მესამედი მხედარი იყო.ეს სოფლის ეკონომიურ სიმძლავრეზე მეტყველებს. გვიან ფეოდალურ ხანაში საქართველოში გავრელებული იყო სპეც საწყაო -„ მოხისული კოდი“.[12: 379].

ძველი მოხისი ლეკიანობისაგან ამოწყვეტილა დარჩენილია ნასახლარი ადგილები . შემდეგ ხელახლა მოშენებულა. პირველად აქ დასახლებულა ღვალაძე , შემდეგ სხვებიც გადმოსულან , უმრავლესობა- იმერეთიდან.[9:42].

მოხისი ქართლში ალბათ ერთადერთი სოფელია , რომელმაც ბატონი ვერ იგუა და მონობის უღელი არ დაიდგა მხარზე. გადმოცემითეს დაკავშირებულია მოხისელების გამჭრიახობასთან, სიამაყესა და თავისუფლების სიყვარულთან.ისე როგორც ყველა იმდროინდელ სოფელს რა თქმა უნდა , მოხისსაც ყავდა ბატონი. მოხისელმა გონებაგამჭრიახმა და შრომისმოყვარე ხალხმა ვერ იგუა ბატონი და მისი მოცილების ერთი ხერხი მოიშველია: თავი მოიგიჟიანა და ბატონის ბრძანებებს უკუღმა ასრულებდნენ. გიამბობთ ზოგიერთს: პროფესორ სერგო მაკალათიას წიგნში „ ფრონეს ხეობა “ აღწერილი აქვს ამბავი , რომელიც დღეს ანიგდოტების სახით არის გავრცელებული ჩვენს სოფელში. მდ. სურამულას გაღმა მამულები ციციშვილებისა ყოფილა, გამოღმა კი საეკლესიო , რომელსაც მოხისელები ამუშავებდნენ. კათალიკოსი მოხისელებისგან ყოველწლიურად თითო ჩანახ პურს სასეფისკვეროდ ითხოვდა. გადასახადისაგან ,რომ განთავისუფლებიყვნენ , მოხისელებს თავი მოუგიჟებიათ. ერთხელ კათალიკოსს დაუბარებია მოხისელები ძეძვის მოსაჭრელად . მოხისელებს მუცლებზე თოკები გამოუბამთ დაშორიდან ესროდნენ ძეძვს მოსაჭრელად . კათალიკოსს ეს გაჰკირვებია და შეჰკითხვია - ასე რატომ იქცევითო? მათ უპასუხეს - ეკალი რომ არ შეგვერჭოსო. კათლიკოსს უთქვამს ,არზა მოიტანეთ , რას სჩივითო . მოხისელებს დაუწერიათ აზრა და მის წასაღბად ურემში გუთნეული შეუბამთ.

როდესაც მისულან , კათალიკოსს უთქვამს : ასე ცარიელი ამდენი ხალხი რად მოხვედით ?

მოხისელებს უპასუხიათ : არზა მოგართვით ‘ რომელშიც იმდენი რამ სწერია , რომ გუთნეულმა ძლივს წამოიღო. კათალიკოსს გაჰკვირებია მოხისელების ასეთი მოქცევა და ისინი გაუთავისუფლებია.[9: 42-43].

მოხისელეთა მებატონეს ქორწილი ჰქონდა და ხარი უნდა დაეკლა . მოხისელებს დანა განგებ სხვენში დაუმალავთ , ხარი რომ წააქციეს, დანა მაშინ მოიკითხეს .ერთა თქვა : დანა სხვენზეა შენახული , მოდი ხარი იქ ავიყვანოთ და იქ დავკლათო . ასეც მოიქცნენ.

თავი II. სოფლის სიძველეები

2.1 ეკლესიები

წმინდა გიორგის ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შემაღლებულ ადგილზე. ეკლესიას დასავლეთიდან ორსართულიანი სამრეკლო აქვს მიშენებული, ხოლო სამრეკლოდან კარიბჭე. ეკლესია აგებულია 1811 წელს, დაზიანებულია : კარიბჭისაგან შემორჩენილია მხოლოდ სწორკუთხა ბოძების ქვედა ნაწილები . 1972 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლესი შეაკეთა.

ეკლესია დარბაზულია (15 X 9 მ), ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით (კედლის ქვედა ნაწილები და სოკოლი) . საკურთხეველი სწორკუთხოვანია , კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული ; მის აღმოსავლეთ კედლებში სარკმელია, გვერდით კედლებში კი თაღოვანი ნიშნები -სამი ჩრდილოეთით, ერთი სამხრეთით. საკურთხეველის წინ მოხატული კანკელი დგას . 1997 წელს მოხდა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები და ეს კანკელი შეცვლილია, თავდაპირველად იყო ხის , ეხლა კი , აგურით არის ამოყვანილი და თეთრადაა შელესილი. დასავლეთის შესასვლელის თავზე კამარიდან სარკმლის

მეორე სართულზე ასასვლელი თაღოვანი შესაძრომია, აქ ვიწრო ხის კიბეა . ინტერიერი შელესილი და შეთეთრებუია. გრძლივ კედლებზე, სარკმლის შორის , კონქში და კამარაში რამდენიმე პატარა ქვევრია ჩასმული, რეებსაც,, პირები “ამოლესილი აქვთ; ნალესში თითო ყვავილისმაგვარი სახეა ამოჭრილი .ეკლესიის იატაკსა და საკურთხევლის ბაქანზე დაგებულია ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრატები.

ეკლესიის გლუვ ფასადზე კარ-სარკმლის ღიობები მოჩარჩოებულია ლეკარული აგურით. აღმოსავლეთ ფასადზე, მუქი ფერის პატარა ქვაა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით , წარწერა ძლიერ დაიანებულუია , იკითხება მხოლოდ ეკლესიის აგების თარიღი(1811 წელი).

სამრეკლო ორსართულიანია მისი I სართულის თაღები ორ თავისუფლად მდგომ სვეტსა და ეკლესიის კედლის ორ ნახევარსვეტს ეყრდნობა; გადახურულია გუმბათოვანი კამარით . II სართული წარმოადგენს ოთხწახნაგოვან, სვეტებზე დაყრდნობილ თაღებით გახსნილ ფანჩატურს. თაღებს ზემოთ ჯვარედინად გადებულ ხის ორ ძელზე ჩამოკიდულია დიდი ბრინჯაოს ზარი . წარწერის მიხედვით ზარი ჩამოსხმულია 1883 წელს და იწონის 150 კგ. სამრეკლოს II სართულის ჭერს საფეხუროვანი პირამიდული ფორმა აქვს.[12:377-378]. სწორედ ამ ეკლესიაში მოღვაწეობდა მამა სამსონ მძინარიშვილი, რომელიც 1938 წელს კომუნისტებმა დახვრიტეს. ქართულმა ეკლესიამ მამა სამსონი 2008 წელს წმინდან შერაცხა]. [19]

კოშკი, არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წმ. გიორგის ეკლესიასთან. თარიღდება XVII საუკუნით. კოშკის პირველი ნაწილი მოგვიანებით ეკლესიად გადუკეთებიათ, რის გამოც მოსახლეობა ღვთისმშობლის კოშკს უწოდებს. კოშკი ნაგებია (11,7 X8 მ) რიყის ქვით. გარედან მთელ სიმაღლეზე კუთხეები წაკვეთილი აქვს. ინტერიერი სწორკუთხოვანი. ორივე სართული ნახევარწრიული კამარითაა გადახურული. კოშკის I სართული შელესილი და შეთეთრებულია. შესასვლელი დასავლეთ კედლის ძირზეა . ჩრდილოეთის კედელში ორი , ხოლო სამხრეთ კედელში ერთი შეწყვილებული სათოფურია . ჩრდილოეთ კედლის დასვლეთ კიდეში თაღოვანი კარია , რაშიც კედელში ჩატანილი კიბის უჯრედში გადის . კიბის ზედა

ნაწილში სწორკუთხა სარკმელი და სათოფურია. II სართული მთლიანად გადაკეთებულია: გაჭრილია ორი კარი და სამი ფართო სწორკუთხა სარკმელი. სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში ფართო თაღოვანი ნიშია შუაში სათოფურით, ხოლო აღმოსავლეთ კედლის ჩრდილოეთ კიდეში -კიბის უჯრედის თაღოვანი შესასვლელი. ამ კიბით ადიოდნენ კოშკის ზედა სართულზე. ზედა სართული მთლიანად დაზიანებულია.[12: 378-379]. 2014 წელს ჩატარდა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, მეუფე იობმა აკურთხა ეკლესია , რის შემდეგაც მიმდინარეობს წირვა-ლოცვა.

სოფელში კიდევ ერთი წმინდა გიორგის ეკლესიაა,რომელი 2004 წელს მკვიდრი მოხისელი ელიაშვილის მიერაა აშენებული. მოხისელები მოიხსენიებენ, როგორც ელიაშვილების ეკლესიას. იგი მდებარეობს სოფლის სამხრეთ- აღმოსავლეთ ნაწილში, ეკლესია შედგება საკურთხეველისაგან და ერთი ნავისაგან, რომელიც გადახურულია ორკალათიანი სახურავით. საკურთხეველი სწორკუთხოვანია მის აღმოსავლეთ კედელში სარკმელია, ასეთი სარკმელია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. იგი შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია, ხოლო გარედან აგურითაა მთლიანად გაწყობილი.

სვეტიცხოველის ეკლესია რომელიც მდებარეობს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი დარბაზული ტიპისაა. სამწუხაროდ ეკლესიის აშენების ზუსტი თარიღი არ ვიცით ,რადგან არანაირი წარწერა არ იკითხება. ეკლესიას თანასოფლელებო ნოზაძეების კვირაცხოვლად მოიხსენიებენ, ეკლესიის გარშემო არის სასაფლაო , სადაც მხოლოდ ნოზაძეები იმარხებიან. სავარაუდოთ ეკლესია ნოზაძეების მიერაა აშენებული.

ქვაყუდი რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გუგულიქედზე მდებარეობს. XII საუკუნეში სოფელი მოხისი შეწირული ყოფილა სვეტიცხოველს და ეს ქვაყუდი არის ნიში სვეტიცხოვლისა .1997 წელს სოგრატ და ოთარ ნავროზაშვილების ინიციატივით და სოფელ მოხისის ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის უანგარო შრომით აშენდა კვირაცხოველის ეკლესია.

2.2 შინ მოუსვლელთა მემორიალი

სოფელში არის შინ „მოუსვლელთა მემორიალი“ , რომელიც აღუმართავთ იმ ადამიანების ხსოვნის სამარადისოდ , რომლებიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ . მეორე მსოფლიო ომში მოხისიდან 375 კაცი მონაწილეობდა .

2.3 მუხის ხე

მოხისელებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს მუხის ხე, რომელსაც მოხისელები წმინდა ნერგებად მოიხსენიებენ. იგი სოფლის სამხრეთ - აღმოსავლეთით მდინარე ფრონეს პირას მდებარეობს. მისი მოჭრა არ შეიძლება. ერთ მოხისელს მოუჭრია მუხის ხე, იმ ღამით უნახავს სიზმარი , რომ მოჭრილი ხე უკან უნდა ჩაეტანა , მაგრამ არ შეასრულა. ამ კაცს იქამდე არ შეეძინა შვილი სანამ მუხის ხე უკან არ ჩაიტანა.

2.4 ოლეს ხე

ოლეს ხე, დგას სოფლის დასვლეთ მხარეს. არავინ არ იცის , თუ რატომ მიიჩნევა აქაურობა წმინდა ადგილად. მოხისელები ამ ადგილას ანთებდნენ სანთლებს,

კლავდნენ საკლავს, საკლავი აუცილებლად ცხვარი უნდა ყოფილიყო. ასე მიიაგებდნენ აქაურობას პატი

2.5 თელას ხე

სალოცავი, თელას ხე არის სოფლიდან მოშურებით, სამხრეთ-დასავლეთით. აქაურობასაც ისევე პატივს მიაგებენ როგორც მუხისა და ოლეს ხეებს.აქ მიჰყავდათ ბავშვები ექსკურსიაზე ,არავინ არ იცის თუ რატომაა აქაურობა წმინდა. ქართული ეკლესია უარყოფს ყველანაირ მსხვერპლ შეწირვას, აქედან გამომდინარე აღარ იკვლება საკლავი. მხოლოდ სანთელს ანთებენ და ამით მიაგებენ პატივს აქაურობას.

2.6 ეპიტაფიები

სოფელი მოხისი ეპიტაფიებით ღარიბია. საფლავის ქვების უმრავლესობა მიწაშია მოქცეული და ისეა დაზიანებული, რომ მისი ამოკითხვა შეუძლებელია. წმინდა გიორგის ეკლესიაში არის საფლავები, საიდანაც ვიგებთ თუ ვინაა დაკრძალული .

ამა სახსოვრის ქვეშე

განისვენებს ვოლეჟსკი

სოვეცნიკი დიმიტრი

გიორგის ძე კვალიევი

დაიბადა 3 ოქტომბერს

1830 წელს გარდაიცვალა 27

ნოენბერს 1882 წელსა.

სავარაუდოთ წმინდა გიორგის ეკლესია კვალიაშვილების მიერაა აგებული. ტაძარში კიდევ ერთი საფლავია.

აქ ..... განსვენებული მხევალი ...

გვარი კეთილიშვილის სოლომონ კვალიევის მეუღლე

ლევან ციანოვის ასული ვინც წაიკითხოთ

შენდობა მიბრძანეთ სულსა წესა ....

ასევე ეპიტაფიები გვხვდება სასაფლაზე. მათი შინაარსი ასთია:

სახლი დამრჩა ცრემლით სამსე მდუღარენი .....

დამრჩა ქმარი ერთი შვილით. ღმერთო .....

დავრჩი ამალისა ქვეშე ზეციურ.....

კრიჩეტნიკის ზაქარია ხუციევის მეუღლე ეფემია,

ზაქარიას ასული .....

წელსა გარდაცვლილი.

თავი III სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიიები და დღესასწაულები

3.1 ჭიაკოკონობა

სოფელ მოხისშიც, ისევე როგორც საქართველოს ყველა სოფელს, აქვს დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები.

სოფელში დღმდეა შემორჩენილი „ჭიაკოკონობის " დანთების წეს-ჩვეულება. იგი იმართება აღდგომის კვირაში, კერძოდ ოთხშაბათ საღამოს. ამ დღეს ყველა საკუთარ ეზოში ანთებს ცეცხლს. ძველად თითქმის ყველა უბანში ინთებოდა „ჭიაკოკონობის " ცეცხლი, მაგრამ ეს ტრადიცია ცოტათი დავიწყებას მიეცა.

3.2 ჭონა

ჭონა- ტრადიციაა, რომელიც ქრისტეს აღდგომას უკავშირდება . აღდგომის წინა ორი კვირა ჭონისაა. დაღამებისას სახეშეღებილი გოგო-ბიჭები , გადაცმული სხვადასხვა ტანისამოსში, მიდიოდნენ მეზობელ უბნებში . თან მიაქვთ დოლი, გარნონი და სხვადასხვა საკრავი. სიმღერითა და შეძახილებით მასპინძელს ართმევენ კვერცხს. სიმღერის ტექსტი ასეთია:

„ ალათასა ბალათასა ხელი ჩავყავ კალათასა , ბები ერთი კვერხი მოგვეც ღმერთი მოგრმს ბარაქასა“.

„ ველოსიპედით მოვდიოდი, გამომიძვრა პედალი , ბები ერთი კვერცხი მომე, ხვალ დაგიდებს დედალი“.

ეს ტრადიცია ბარაქასთან არის დაკავშირებული. მოხისელებს სჯერათ, რომ მომდევნო წელს ბარაქა და დოვლათი არ მოაკლდებათ მათ ოჯახებს.

3.3 მეკვლეობა

ჩვენ სოფელში მეკვლეობა სამჯერ აღინიშნება. პირველად ბარბარობას, მართმადიდებლური კალენდრის მიხვედით. მეკვლე არის ის ვინც ამ დღეს ტკბილეულით პირველად შეაღებს კარს ოჯახში, უსურვებს ბედნიერებას და ყოველივე კარგს.

მეკვლეობა ასევე უკავშირდება ახალ წელს. ჩვენს სოფელში სწამთ, რომ მეკვლის ფეხბედნიერებაზეა დამოკიდებული მათი ოჯახის წარმატება და ბედნიერება მთელი წლის მანძილზე, ამიტომ ყველა ცდილობს მეკვლედ აირჩიოს „კარგი ფეხისა და ბედის“ მქონე ადამიანი.ახალი წლის ღამეს მეკვლე პირველი შედის ოჯახში ტკბილეულით და ლოცავს

ოჯახის წვრებს: ,,შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი. ფეხი ჩემი , კვალი ანგელოზისა.“

მევლეობა , ჩვენს სოფელში ასევე იციან ძველით ახალ წელსაც, 14 იანვარს.

3.4 გიორგობა

სოფელი მოხისი ტიპიურად ქართული სოფლებისა , ინახავს და პატივს ცემს წინაპართა ტრადიციებსა და ადათ-წესებს . სოფლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია გიორგობა ე.წ. დღეობა , რომელიც 23 ნოემბერს აღინიშნება. გიორგობისათვის მოხისელები საგულდაგულოთ ემადებოდნენ: დილით მიდიან ტაძარში სალოცავად, წირვის შემდეგ კი ულოცავენ ერთმანეთს გიორგობას. იკვლებოდა უამრავი საკლავი , ბევრი მოხისელი კი იხდიან ე.წ. „საღმრთოს“ . მათ აჰყავდათ შესაწირი ეკლესიაზე , მეტწილად ცხვარი , ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ, შემდეგ კი თავს სანთლით შეუტრუსავენ ჯვრის მიმართულებით . კლავდნენ და იქვე ხარშავდნენ. ხორცი მხოლოდ მოხარშული უნდა ყოფილიყო . იშლებოდა დიდი მაგიდა , სადაც მიპატიჟება ხდებოდა ყველა ადამიანის. თუ ცხვარი იკვლება სახლში, მისი ხორცი რიგდება გაჭირვებულებსა და ქვრივ-ობლებზე. საღმრთოს ტრადიცია ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა.

„ წმინდა გიორგის თაყვანისცემასთან დაკავშირებით , 10 ნოენბერს (ძვ.სტ) იმართებოდა ხატობა და მოუდიოდა მრავალი მლოცავი. ხალხის ცრურწმენით მოხისის წმ. გიორგი ჰკურნავდა სულით ავადმყოფებს, რომლებიც ხატობაზე მოჰყავდათ, ღამეს უთრვდნენ და შესთხოვდნენ წმ. გიორგის მათ განკურნებას, ვისაც ჰქონდა შეთქმული ,

მოჰყავდათ საკლავი, მოჰქონდა საწირ-სანთელიდა აქ ასრულებდა სხვადასხვა რიტუალს. დასასრულს იმართებოდა ლხინი, ტაშ-ფანდურა, ჭიდაობა და სხვა გართობანი.“ [9:43]

3.5 კვირაცხოვლობა

სოფლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღესასწაული არის კვირაცხოვლობა. ყოველი წლის ადღდგომის მეორე კვირას იღებება კვერცხები წითლად, ცხვება ნაზუქი და პასკა . მოსახლეობა ადის კვირაცხოველზე, ანთებენ სანთლებს, იშლება სუფრა . სადაც კიდევ ერთხელ შეახსენებენ ერთმანეთს , რომ „ ქრისტე აღსდგა“.

3.6 თაგოთაგოობა

თაგოთაგოობას აღნიშნავენ ყველიერის კვირაში. ეკლიანი ჯოხებით ბავშვები შემოივლიან მთელს სახლს ასეთი სიტყვებით: „ თაგო , თაგო გამოდი, ანგელოზო შემოდი“. ქალებს აუცილებლად ქონიანი ქადები უნდა დაეცხოთ. ბავშვებს თაგვები დასახლებელი ადგილისკენ უნდა გაერეკათ. ამ ტრადიით სახლში ტოვებდნენ ხვავსა და ბარაქას. ეს ტრადიცია ჩვენთან მხოლოდ სიტყვიერადაა შემორჩენილი , ცერემონიალი კი გამქრალია.

თავიIV . სოფლის ტოპონიმები

4.1 მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ

ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთლ მანძილზე. არ არსებობს ენა , რომელიც ლექსიკას არ ამდიდრებდეს. კერძოდ ქართული ენის სიტყობრივ მარაგში ტოპონიმებს თავიდანვე დიდი ადგილი უკავია .

ტოპონიმები წარმოშობილია უშუალოდ , ადამიანთა ურთიერთობის პროცესში და როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახელი ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილს სტიქიურად , პირველად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შეიქმნა.[13:9].

ალ. ღლონტი განმარტავს ,რომ ,, ტოპონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს. უტოპონიმიკოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია : ქუჩა, სოფელი, რაიონი, ქალაქი, მთა , ტყე, ბაღი, მდინარე, წყარო, ნაკვეთი, ვენახი, გზა და მათი სახელწოდებანი ინდენად მახლობელია ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლთათვის და ისეა დამოკიდებული მათ ყოფაში,რომ ყოველდღიურ სიტყვა-პასუხში აქტიურად მონაწილეობს....“

ტოპონიმები რაოდენობით ორ-სამჯერ მეტია , ვიდრე მთლიანად ენის ლექსიკა დიალექტური შენაკადით. მართალია ტოპონიმთა რაოდენობას უპირველეს ყოვლისა ზრდის მიკროფონდი, რომლის არეალი მეტად ვიწროა, მაგრამ ადამიანი სწორედ ამ მიკრორაიონის ბინადარია და მის ტრადიციებს ექვემდებარება. სიტყვის საერთო ფონდთან ერთად მან თავისი კუთხის ტრადიცია იცის, ინახავს და შთამომავლობას გადაცემს ამ არეალურ ლექსიკას.[13: 4].

საკუთრივ ტოპონიმთა ცნობების შემვლელი გეოგრაფიული ნაშრომი საქართველოში XVIII საუკუნის შუა წლებიდან არსებობს . ეს არის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1770) ბრწყინვალე წიგნი ,, აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს ტოპონიმთა დახასიათება ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ზოგიერთ ცნობას თან ურთავს ეტიმოლოგიურ ანალიზსაც.[13; 40-41].

ნინო ოქროპირიძე აღნიშნავს, რომ ყოველი ტოპონიმი იმდენად რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომ მისი სრულყოფილი კვლევა, მხოლოდ ისტორიულ, ენობრივ, ფოლკლორულ, გეოგრაფიულ და სხვა მონცემთა ერთობლიობის გათვალისწინებით თუა შესაძლებელი , მაგრამ, ვინაიდან , ტოპონიმი უწინარეს ყოვლისა

ლექსიკის ელემენტია . იგი ენის საერთო ლექსიკური შემადგენლობის კუთვნილებაა და ამიტომ მას ჯეროვანი ლინგვისტური შესწავლა სჭირდება.

ტოპონიმიკური მასალის ლინგვისტურ კვლევას რამოდენიმე ძირითადი მხარე აქვს. მასალა შეიძლება ვიკვლიოთ მორფოლოგიური თვალსაზრისით (ტოპონიმთა ძირითად საწარმოქმნო საშუალებათა ანალიზი), ისტორიულ-დიალექტოლოგიური მონაცემების მიხედვით და სემანტიკურ ასპექტში. “ [11: 6].

მოხისის სახელწოდება , ტოპონიმი, ხალხური განმარტებით წარმოშობილია მუხისაგან, მუხისი. ძველად მოხისის მიდამო მუხის ტყით ყოფილა დაფარული, რომლის ნაწილი ახლაც შემორჩენილია მის ჩრდილოეთ ქედზე.

სოფელი იყოფა სხვადასხვა უბნებად გვარების მიხედვით. გვაქვს შემდეგი უბნები: ნოზაძეების უბანი - აქ მეტწილი ნოზაძეები სახლობენ , ამიტონ ეწოდება ეს სახელწოდება.

გელაშვილების უბანი- ამ უბანში უმეტესობა გელაშვილი ცხოვრობს.

ელიაშვილების უბანი -ამ უბანში ბევრი ელიაშვილი ცხოვრობს.

სოფელ მოხისის ტოპონიმები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1 მარტივი.2. წარმოქმნილი და 3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ანუ თხზული სახელები.

4.2 მარტივფუძიანი ტოპონიმები

ალექსანდრე ღლონტი აღნიშნავს , რომ „ ტოპონიმთა“ დიდი ნაწილი მიღებულია ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე , ჩვეულებრივი სახელებით , ბრუნვის ფორმით. გამოიყენება ფუძეთა ორი ფენა : თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი ....ტოპონიმის ფუძის აბსოლიტური ბოლო ხმოვანი ისტორიულად სახელობითი ბრუნვის ნიშანს (ი)

ფონეტიკურად ვერ იგუებს და ახალ ქართულში ხმოვანზე დაბოლოებული სახელი სუფთა ფუძითაა წარმოდგენილი , ბრუნვის ნიშანი დაკარგულია ...“[13:24].

სოფელ მოხისში გვხვდება შემდეგი მარტივფუძიანი ტოპონიმები:

მყვირალა - ამ სახელწოდებას ეძახდნენ ერთ-ერთ წყაროს , რომელსაც დღეს გოჩიაშვილების წყაროს ეძახიან. მყვირალა ეწოდებოდა იმიტომ, ამ ადგილას ირმები ჩამოდიოდნენ წყლის დასალევად.

სომანეთი -მიწები მდინარე ფრონის პირას, სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ რატომ მოიხსენიებენ ამ სახელწოდებით .

სოლოვეთი- ძველად მოხისელები ამ ადგილას ცხოვრობდნენ და რადგან მდინარე ფრონე დიდებოდა და ყველაფერს ტბორავდა , ჩრდილოეთისაკენ ამოსახლდნენ.

კახაურა- სახნავ- სათესად ვარგისი მიწა, ამ მიწაზე „პატარა კახს“ უბრძოლია სადაც გაუმარჯვია . მის პატივსაცემად ეძახიან კახაურას.

4.3 წარმოქმნილი ტოპონიმები

4.3. 1 ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება (ნა- და სა- პრეფიქსებით)

გეოგრაფიული სახელების ოდენპრეფიქსული წარმოების სპეიფიკური ნიშანი ისაა, რომ ნა-და სა- პრეფიქსები, როგორც წესი მხოლოდ ვნებითი გვარის მიმღეობურ , იშვიათად დანიშნულებისა და წინა ვითარების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს წარმოქმნიან.

ნა- და სა- პრეფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები , ჩვეულებრივ, მიკროტოპონიმიის სფეროში გხვდება ნა-და სა- პრეფიქსიანი მიკროტოპონიმები

ძირითადად სამეურნეო ხასიათის ტოპონიმები არიან. მათში საკმაოდ ზუსტადაა ასახული საყოფაცხოვრებო - სამეურნეო რეალიები, მოსახლეობის საქმიანობა და ა.შ.

აღსანიშნავია , რომ ნა-და სა- პრეფიქსების საწარმოქმნო ძალა საკმაოდ შეზღუდულია , აღნიშნული პრეფიქსები ყველაზე მეტად პროდუქტულები მაშინ ხდებიან , როცა მათ სხვადასხვა საწარმოებელი სუფიქსები მიერთვის, განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევიან:

ნა - ----- -არ,

სა- ------ -ე,

სა- ------ - ო, და სხვა . აფიქსები. [4: 29- 30]. აღნშნული ეხება სოფელ მოხისში გამოყოფილ ტოპონიმებსაც.

ნა- ვაშლ-არ-ი- ამ ადგილზე ძველად, ვაშლის ბაღები ყოფილა გაშენებული. ეს ტოპონიმი პრეფიქს- სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები. აღნიშნულ ტოპონომში პრეფიქსად გვაქვს წინა ვითარების აღმნიშვნელი ნა- , ბოლოსართად კი- არ.

ნა-ნივრ-ალ-ი ეს ადგილი საბჭოთა პერიოდის დროს გამოყოფილი იყო ნივრის გამოსაყვანად, აქედან დაერქვა ეს ტოპონიმიც.

ნა- ჭარხ-ალ-ი ამ სახელით სოფელში მოიხსენიებენ მიწის ნაკვეთს , სადაც ძველად ჭარხალი მოჰყავდათ.

გოხები - ქვიშიანი მიწაა, რის გამოც მოსავალი არ მოდის.

ნაჩეხები- ამ ადგილად ბევრი ხე გაჩეხილა , ამიტომ ეწოდება ამ ადგილას ნაჩეხები.

ნაწყაროები - ამ ადგილას ბევრი წყარო გადმოედინებოდა , იმიტომ ეწოდება ნაწყაროები.

4.3.2. - ურ , -ულ-ა სუფიქსიანი ტოპონიმები

-ურ|| -ულ სუფიქსები ობიექტის თვისებას ან წარმომავლობას გვიჩვენებს. -ა ფორმატი კი -ურა-ა || -ულ-ა სუფიქსებში მაკნინებელ ხმოვნადაა მიჩნეული.

-ურ (-ულ) სუფიქსი გვხვდება როგორც საკუთრივ ტოპონიმებში ისე მიკროტოპონიმიაში.[4: 24].

სოფელ მოხისში დასტურდება - ურ და ულ-ა სუფიქსით ნაწარმოები შემდეგი ტოპონიმები :

მიშასე-ულ-ა - მიწის სახელი , რომელიც ძველად ეკუთვნოდა მიშას.

დათოსე-ულ-ა მიწის სახელი , ეკუთვნოდა დათოს.

4.3.3. - ებ სუფიქსიანი ტოპონიმები

თუთები- ამ ადგილას ძველად , თუთები ყოფილა გაშენებული.

ვენახები- აქ ვენახები ყოფილა გაშენებული .

ვაშლები- ამ ადილაზე ვაშლები იყო გაშენებული, დღეს მათი მცირე ნაწილია შემორჩენილი.

4.3.4. - თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები

-თან თანდებულიანი ტოპონიმების ფუნქციაა ზუსთათ მიუთითოს, აღნიშნოს სახელდებული ობიექტი, ამიტომ ამგვარი სახელები ხშირად ორიენტირებადაც კი გხვდება.[4: 27]

მოხისში გვხვდება თან თანდებულიანი ტოპონომები ესენია:

არხ-თან სოფელში ჩამოედინება დიდი სარწყავი არხი , ამიტომ კითხვაზე სად ხარ? მისანიშნებლად ამბობენ არხთან.

ფრონეს- თან სოფელში ჩამოედინება მდინარე ფრონე . ამიტომ მისანიშნებლად ამბობენ ფრონესთან.

4.4. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები

გეოგრაფიული სახელების ძირითადი ფუნქციაა, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ბუნებრივი ან ხელოვნურად შექმნილი ობიექტის აღწერა - დახასიათებაა . გეოგრაფიულ სახელებში მდიდარი ინფორნაციაა დაცული. აქ აღნიშნულია არა მარტო ობიექტის ფიზიკურ- გეოგრაფიული დახასიათება (მაღალი, დაბალი, თეთრი, წითელი, ქვიანი და ა. შ.), არამედ მისი კუთვნილება- წარმომავლობაც... ყოველივე ამის უკეთ საჩვენებლად ენამ შესიტყვების გზა აირჩია, რადგან ობიექტის შედარებით უფრო ზუსტ და სრულ დახასიათებას ორსიტყვიანი სინტაგმა (მსაზღვრელ- საზღვრული) გვაძლევს. სინტაგმის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, იშვიათად ზმნიზედა), ხოლო მეორე კომპონენტს კი ნომენკლატურული (გეოგრაფიული) ტერმინი: მთა, ქედი, გორაკი, ბაღები, მიწები და სხვა.[4: 34-35]. ასეთებია:

მტკვრის მიწები- ეს სახელწოდენა იმიტომ აქვს ,რომ მდინარე მტკვარს ესაზღვრება.

გრძელმიწები - მიწის ნაკვეთი , რომელიც ფორმით გრძელია და ამიტომ დაურქმევიათ ეს სახელი.

შხამქიმიკატები- ამ ადგილას საბჭოთა პერიოდის დროს , ინახავდნენ შხამებს. იმიტომ მოიხსენიებენ მოხისელები ასე.

გუგულიქედი- სახნავ-სათესად ვარგისი მინდორი, რომელიც მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით.

თავი V . სოფლის ჰიდრონიმები

5.1 ძირეული ჰიდრონიმები

ჰოდრონიმია ყურადღებას იპყრობს , როგორც ისტორიული და გეოგრაფიული , ისე რაც მთავარია , წმ. ლინგვისტური თვალსაზრისით , ჰიდრონომია, უწინარეს ყოვლისა , ლექსემაა, ერთეული ენისა , რომლის წარმოქმნასა და სტრუქტურის შესწავლა - გათვალისწინება ლექსიკოლოგიის ამოცანას შეადგენს.[13: 27]. სოფელში დასტურდება შემდეგი ძირეული ჰიდრონიმი :

არხი- სოფლის ჩრდილოეთ მხარეს არხია, რომელიც მდ. მტკვარს უერთდება. აღნიშნულ არხებს იყენებენ სარწყავად.

5.2. რთულფუძიანი ჰიდრონიმები

რთულფუძიანი ჰიდრონიმები , როგორც გურამ ბედოშვილი აღნიშნავს „ მსაზღვრელ- საზღვრულიანი წყაროების გეოგრაფიული სახელები არიან. მსაზღვრელად , ჩვეულებრივ , არსებით ან ზედსართავ სახელებს ვხვდებით, საზღვრულის როლში კი ჰიდრონიმული საზოგადო ტოპონიმები: წყარო, ხევი/ი , ტბა, გუბე, კოდა, წყალი...გვხვდება“.[4: 60].

სოფელში დასტურდება შემდეგი რთულფუძიანი ანუ სიტყვათშეერთებით მიღებული ჰიდრონიმები:

გოჩიაშვილების წყარო- აქ წყლის დიდი შენაკადი მოდის , სოფელში რამიდენიმე მოსახლეა გოჩიაშვილი , თუმცა კი აქვთ საკუთარი წყარო.

დიასამიძეების წყარო- ამ წყაროსთან რამოდენიმე დიასამიძის ოჯახი ცხოვრობს.

ქელეხსაშვილების წყარო- ეს წყარო ქელეხსაშვილების უბანში არის.

ღვალაძეების წყარო- მიუხედავათ იმისა , რომ სოფელში ღვალაძე დიდი გვარი არაა, მათ მაინც აქვთ საკუთარი წყარო.

თავი VI . ანთროპონიმები (მეტსახელები)

6.1 გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები

ანთროპონიმები , ისევე როგორც ტოპონიმები ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს წარმოადგენს. ანთროპონიმებში გამოიყოფა, ერთი მხრივ პიროვნული სახელები (საკუთრივ ანთროპონიმები) , მეორე მხრივ მეტსახელები (თიკუნიები). ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ამ მეორე ჯგუფზე ე.ი. მეტსახელებზე. [10:158].

მეტსახელები ზოგჯერ არა მარტო სხვებს ავიწყებს დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმებს , არამედ თვითონ დენოტატსაც , ანუ ადამიანის ცნობიერებაში ხდება სახელების ერთი, წინა ეტაპის ჩაძირვა და მისი ჩანაცვლება ახალი ნომინაციით. ეს რეალურად მიმდინარე პროცესია , რაც ვლინდება შემდეგი მომენტით- ადამიანი აღარ რეაგირებს წინა სახელით ხმობისას. სამაგიეროდ, მის ყურს სწვდება პრაქტიკულად მოქმედი ანტროპონიმები - ეს იქნება მისი მეტსახელი თუ სხვა ტიპის მეორე სახელი . [6:228]

მეტსახელთა დიდი უმრავლესობა სემანტიზებულია .მათი ძირითადი თვისება ლექსიკურ- სემანტიკური გამჭვირვალობაა. ამიტომ მეტსახელთა ძირითადი ნაწილი მოლაპარაკე სიტყვაა, თვითონვე მიგვითითებს დენოტატის იმ კონკრეტულ ნიშან-თვისებაზე , რამაც გამოიწვია გარკვეული შინაარსის აპელტივისა თუ მეტყველების სხვა ლექსიკური ნაწილის გასაკუთარსახელება. [6:258].

სოფელ მოხისში გავრცელებული შერქმეული სახელები სხვადასხვა შინაარსისაა. ისინი გამოხატავენ ადამიანთა თვისებებს, მოქმედებას, გარეგნობას, ალერსს, მოფრებას, ვნებით კნინობით - ალერსობით სახელებსა.

სოფელში გვხვდება სხვადასხვა მეტსახელები , რომელსაც წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითებით.

პირველი გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები , ესენია:

დიდო- ტანის დიდი მოყვანილობის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი .

შაო- დაარქვეს ბიჭს , რომელიც ძალიან შავია.

დიდყურა- დაარქვეს კაცს , დიდი ყურების გამო.

წრეტელა- პატარა ტანის კაცს ქვია. ეს ადამიანი დღესაც ამ სახელითაა ცნობილი.

სალამურა- შეარქვეს თანაკლასელებმა, რადგან სახე სალამურივით წვრილი აქვს.

წერო- სისუსტისა და სიმაღლის გამო დაარქვეს თანაკლასელებმა.

ლეგა- ეს მეტსახელი შეარქვეს კაცს, იმის გამო , რომ დიდი ფეხები აქვს.

თეთრო- შეარქვეს კაცს, რომელსაც ძალიან თეთრი კანი აქვს და დღესაც ამ ადმიანს საკუთარი სახელით არავინ იხსენიებს.

6.2. ქცევისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელები

ხიფათა- ბავშვობაში შეურქმევიათ , რადგან ხან რას იტკენდა , ხან რას.

დოგლა- ქვია კაცს, რადგან მოდუნებული სიარული იცის.

ბაკო- ბავშვობაში ბაკუნით დადიოდა და მეგობრებმა ბაკო დაარქვეს.

სალარო- შეარქვეს კაცს, რომელიც ძველად სოფლის მოლარე ყოფილა.

მელა- ეს მეტსახელი დაარქვეს კაცს, რომელიც ყველა სიტოაციიდან ადვილად იძვრენს თავს, ამიტომ თანასოფლელებმა მელასავით მოხერხებულობის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

6.3. თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები

ანაღვლე- შეარქვეს თანასოფლელებმა კაცს , რომელიც ძალიან უდარდელაა.

კოწო- კაცის მეტსახელია , რომელსაც კამფეტებიდან ყველაზე მეტად კოწახური უყვარს.

მურკა - ეს მეტსახელი შეარქვეს თანაკლასელებმა, რადგან, ბავშვობაში ძალიან უყვარდა კომბოსტოს მურკის ჭამა.

ფორტუნა- დაარქვეს კაცს , რომელიც ძალიან ბევრს ლაპარაკობს.

ბუღა- დაარქვეს ბიჭს ბავშვობაში , რადგან სულ ბუღასავით იბღვირება.

ტისიჩა- შეარქვეს ტრაბახა კაცს , რომელიც ამბობდა ტიში ერთ ჯიბეში მაქვს, ტიში მეორეშიო.

კენჭია- შეარქვეს თანასოფლელებმა , კენჭივით მაგარი კაციაო.

6.4. ცხოველთა მსგავსებით შერქმეული მეტსახელი

ტურა - დაარქვეს კაცს, რომელიც გარეგნულად ტურს გავს.

ხვლიკა- სახით ხვლიკს გავს, ამ მეტსახელით არის ცნობილი და ნამდვილ სახელს არავინ ეძახის ოჯახის წევრების გარდა.

ბაჭია- დაარქვეს ბიჭს, რომელიც ბავშვობაში ბაჭიასავით პატარა და საყვარელი ყოფილა.

ფისო -ქვია ქალს , რომელიც სახით კატას ჰგავს.

თაგო - შეარქვეს კლასელებმა, რადგანაც თაგვივით პატარა სახე ქონდა.

6.5. მამის სახელები მეტსახელებად

ქეთევან გოდერძიშვილი წიგნში „ ქართველური ანთროპონიმების ძირითადი საკითები“ აღნიშნავს, რომ „ ქართულ სინამდვილეში პიროვნების მოხსენიება მხოლოდ მამის სახელით უფრო მეტსახელის ფუნქციას სძენს მიმართვის ამ მოდელს, რადგან ის გარკვეული სოციალური ელფერით იტვირთება , სახელდების ამ ტიპის ფორმები თითქმის წესად იყო ქცეული საბჭოთა პერიოდში და ეს იქცა დენოტატის პატივისცემისა და დაფასების გამომხატველ ფორმად, რაც პარალელურად , მეტსახელის თვისებასაც იძენდა.[6:255].

მამის სახლები მეტსახელებად სკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი, მაგალითად, ამ ტიპისაა:

ჯაბა მიხაელოვიჩი - ამ სახელით მიმართავდნენ კაცს , რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება შრომაში გაეტარებინა, ახლა კი მის შვილებს მიმართავენ ამ სახელით.

ზურაბიჩი- ზურას შვილებს ამ სახელით მიმართავენ , თანასოფლელები.

გიორგევიჩი- ამ სახელით მიმართავენ დღეს გიორგის შვილებს.

ავთანდილოვიჩი- ამ მეატსახელით იცნობენ ავთანდილის შვილებს სოფელში.

თაზოვიჩი - თანასოფლელები ამ სახელს ეძახიან თამაზის შვილებს.

ნოევიჩი- ამ სახელით მიმართავენ ნოეს შვილებს.

6.6 კნინობით- მოფერებითი , ალერსის გამომხატველი მეტსახელები

-ა, -ია, -იკო, -ილო, -უნა.... ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კნინობითის აფიქსებადაა მიჩნეული, ხოლო მათი მეშვეობით წარმოქმნილი სახელები - კნინობით სახელებად [6: 112]. სოფოლში მრავლად გვხვდება ამ ტიპის მეტსახელები.

-იკ-ო , მკაფიოდ გამოკვეთილი დერივაციული მაწარმოებელია საალერსო ფორმისა , საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: ვანო- ვანიკო, მარი- მარიკო, მიშა- მიშიკო, ნუცა- ნუციკო, ნინო- ნინიკო, მერი- მერიკო, ელენე- ელენიკო.....

- უნა სუფიქსი , ზოგადად, ალერსობის გამომხატველი აფიქსია საკუთარ სახელებთან. -უნა საკუთარ სახელებს სძენს ალერთობით ელფერს, რაც შორს დგას კნინობითისაგან , რომლის ზმნური ფორმის (კნინდება) განმარტებაა „ დაქვეითება“.

თამარი- თამუნა, ეთერი- ეთუნა, ქეთევანი -ქეთუნა....

-ა აფიქსი თითქმის ყველა გრამატიკოსთან მიჩნეულია კნინობით ან კნინობა-ალერსობის სუფიქსად, განურჩევლად იმისა, თუ საკუთარ სახელთა რა ფორმას ერთვის . [6: 116-117].

ა დერივატით ნაწარმოები მეტსახელები მრავლადაა სოფელ მოხისში. მურმანი- მურმანა, ომარი- ომარა, ნუგზარი- ნუგზარა, მერაბი- მერაბა, არილი- არჩილა....

6.7 უცნობი სემანტიკის მეტსახელები

სოფელ მოხისში გვხვდება ისეთი მეტსახელები , რომლებშიც არ ჩანს სიტყვის სემანტიკა . უცნობია თუ რატომ დაარქვეს ადამიანს ესა თუ ის მეტსახელები. ასეთებია:

ბუზუ, ჩხიო, კრიხა, ონჯენა, გოხი, ჩხაკუნა, ხანდივა, მიუნთე, ბუიუ, ბაყაჭა, ქუცუ, ცუნცულა, გერდილა, მემო, კონგო, ვატა, კვახა, ანტოტა, ჭყიპო, დროჩი, აფეთა, აზია, ჭუპრია.....

თავი VII. გვარები

7.1. სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები გვარსახელებზე

ქართული გვარსახელების წარმომავლობისა და ისტორიის შესახებ არაერთ მკვლევარს აქვს გამოთქმული საკმაოდ საინტერესო მოსაზრება . გავეცნოთ ზოგიერთი მათგანის (როლანდ თოფჩიშვილის , იაკობ ახუაშვილის , ალექსანდრე ღლონტის , ნიკო ბერძენიშვილის, ზურაბ ჭუმბურიძის და სხვათა) შეხედულებებს:

როგორც პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი აღნიშნავს: „ გვარსახელს უწოდებენ საზოგადოების პირველადი უჯრედის - ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის . ჩვენ გვგონია ,რომ ეს განმარტება მაინცდამაინც მთლად ზუსტი და სრულყოფილი არაა. იგი შეიძლება მიესადაგებოდეს იმ ქვეყნების გვარსახელებს, სადაც ის შედარებით ახალი XVIII- XIX სს-ის წარმონაქმნი მოვლენაა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ ქვეყნებს , რომლებშიც

საუკუნის განმავლობაში ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. მოკლედ, აქ იმას ავღნიშნავ, რომ გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის - ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ის უფრო დიდი სოციალური ერთეულის , რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა. სახელწოდებაა იმ სოციალური ორგანიზმისა, რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ, ხშირად - საერთო სალოცავიც. საქართველოში გვარს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს . ასე რომ , გვარსახელი ჩვენში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ოჯახის სახელწოდება როდია. ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა. ამ გაგებით გვარსახელის განმარტება თითქმის უახლოვდება პირველყოფილი გვარის განმარტებას, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, გვარსახელი პირველყოფილი გვარებისაგან ბევრი სხვა ნიშნითაც განსხვავდება....

მსოფლიოში მრავალ ხალხში , პირველყოფილი გვარის დაშლის შემდეგ, გვარსახელები არ წარმოქმნილა . ჩვენთან (და ევროპის და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოიქმნა), რისი მიზეზიც იყო სოციალური სისტემა. მხედველობაში გვაქვს ქართული ფეოდალიზმი. გვარი საქართველოში მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. აქ როგორც ყმის მემკვიდრეობით ფლობაზე (ესა თუ ის გვარი ამა თუ იმ ფეოდალებს ეკუთვნოდა), ისე მიწის მემკვიდრეობით გადაცემაზე საზოგადოების ყველა ფენაში“.

მკვლევარი დასკვნის სახით მიუთითებს , რომ „.... გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი , რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემოდა თაობიდან თაობას “.[7: 273- 274].

იაკობ ახუაშვილი აღნიშნავს , რომ : ,,გვარი პირველ ყოვლისა , ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ , საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელი , ადრინდელი თემური - გვაროვნული ცხოვრების გამომხატველია. გვარი მემკვიდრეობითი საოჯახო

სახელწოდებაა, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. ერთი წინაპრის შთამომავლები ერთი და იმავე გვარის მატარებელი ჯგუფია. უთუოდ ამით უნდა აიხსნას , რომ მას მოდგმის, შთამომავლობის , შტოს და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება ისე, როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც - საგვარეულოს , საგვაროს (მოდგმა , ჩამომავლობა), გვარობნულობას (ჩამომავალი), გვაროვანს (დიდგვარი), გვარეობას, გვარობას (ვინაობა)..." [2:12]

მკვლევარი იაკობ ახუაშვილი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს გვარის შესახებ ,,ქართული გვარის სინონიმია სიტყვა გორი. ალ. ყაზბეგის ,,ხევისბერ გოჩაში" გოჩა თავის ერთადერთ ვაჟს, ონისეს, უდიდესი განსაცდელის ჟამს სამშობლოს დასაცავად ისტუმრებს და ღრმა შთაგონებით არიგებს, მთელ თავის პატრიოტულ მგზნებარებას იგი გვარის ღირსებაძე მითითებით გამოხატავს და ეუბნება შვილს- გახსოვდეს , ვისი გორისა ხარო!

ხევისბერის მეტყველებაში გვარი გორად გამოითქმის . სიტყვის ამ ფორმით ხმარება , საერთოდ დამახასიათებელია მთის კილოებისათვის , სადაც რეალიზებულია ვა- კომპლექსის შენაცვლება ო- ხმოვნით... გორი ამავე დროს ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინიც არის და გარკვეულ სემანტიკურ კავშირს ამჟღავნებს გვართან, როგორც სოციალურ ტერმინთან. საქმე ის არის, რომ გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით არქეოლოგები ასკვნიან: საქართველოში უძველესი დროიდან არსებულა „გორებად" დასახლების ტრედიცია , რაც პირვანდელ გვაროვნულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა. ირკვევა , რომ თითოეულ გორაზე ცალკეული გვარი ან გვართა გაერთიანება ცხოვრობდა : გვაროვნული დასახელება „ გორულ"დასახლებასაც ემთხვეოდა . ამიტომაც ტერმინებიც გვარი და გორი ერთი ცნების აღმნიშვნელად გამოიყურებიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს , რომ საქართველოს ტოპონიმიკაში გორ - ძირი მასიბრივად ისმის და მას ზოგჯერ გვარ - ძირიც ენაცვლება...."[2:13].

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს , რომ გორი იგივე გვარია . ეს არის უძველესი სოციალური ტერმინი , რომელიც დასახლების გარკვეულ ტიპს აღნიშნავდა. მკვლევარი წერს : „ გორა სოციალური ერთობა უნდა იყოს ".[2: 13]

საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ზურაბ ჭუმბურიძეს გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით: ,, ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა , მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელით მიხვდებოდნენ, ვის ეხება საუბარი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნა , თუ რა ქვია ამა და ამ პირს, არამედ რა- ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა. შ. ამრიგად სხელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე , დამატებითი სახელი , რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების - სეხნიების გარჩევას . აი, ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი , როგორც პიროვნული სახელის თანხმლები , განუყრელი ნაწილი“. [14:293- 294].

იაკობ ახუაშვილი განმარტავს , რომ „ ... თავდაპირველი გვარი , როგორც ისტორიული ფენომენი არ არსებობდა . მოგვიანებით იგი პირველად პრივილეგიური კლასების წიაღში შეიქმნა. მშრომელი მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში მოკლებული იყო სტაბილურ სამემკვიდრეო გვარ- სახელებს . ყმაგლეხები , ხელოსნები და მოქალაქეთა დაბალი წრეები ძველად საშინაო დამატებითი მეტსახელებითა და, უმთავრესად , მამის სახელებით კმაყოფილდებოდნენ , რომლებიც თანამედროვე გვარ-სახელებისროლს ასრულებენ...ქართულმა სიგელ-გურჯებმა და სხვა სახის წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა ზოგიერთი გვარ-სახელი , მათ შორის უპირატესბა მაინც დიდგვარიანებს უჭირავთ, ხოლო მოსახლეობის დაბალი ფენები უგვაროებად იწოდებოდნენ („უგვარონი“) , რაც მდაბიო წარმოშობის ადამიანის სინონიმი იყო . მას უპირისპირდება გვარიიანნი , იმ თავადთა და აზნაურთა აღმნიშვნელი ტერმინი , რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვა- გამგეობაში.“[2: 24].

როლანდ თოფჩიშვილი განმარტავს , რომ საქართველოში გვარსახელები ძალიან დიდი ხნის წარმოქმნილი მოვლენაა, რომ ჩვენში გვარსახელი პირდაპირ გვაროვნული გვარიდან წარმოიშვა. ასე რომ, ქართული გვარსახელი ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული ერის თანმდევია“.

აღნიშნული თვალსაზრისით დასასაბუთებლად მკვლევარს მოჰყავს საისტორიო საბუთები: „... ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ საისტორიო საბუთებში „ დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი“, რომელიც

IX ს- ის მეორე ნახევრით თარიღდება, გვარსახელებია ფიქსირებული. საბუთში დასახელებულია სამი გვარი . აქედან ერთი (ფავნელი) აზნაურია და მეორე და მესამე (შულიასძე და ტარიკასძე). - გლეხები“.

პირველად მკვლევარმა ზ. ჭუმბურიძემ მიაქცია ყურადღება „ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ ერთ მონაკვეთს , რომელშიც დაფანჩულის მემკვიდრეობით სახელზეა (გვარსახელძე) საუბარი. ცნობილია, რომ გიორგი მერჩულე X ს-ის მოღვაწე იყო , რომელმაც აღწერა VIII ს-ის ბოლო პერიოდისა და IX ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ერთ მონაკვეთში , როდესაც ნაწარმოებში აღწერილია აშოტ კურაპალატის დროინდელი (ე.ი. IX ს-ის 20 -იან წლებამდე პერიოდის)ამბები, ავტორი წერს ,,ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კულაპარატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული და აწ ნათესავთა მისთა ჰქვიან დაფანჩული.“ შემდეგ „ ამისთვისაცა , მსგავსად აღთქმისა , ხანძთასა შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღედელად დღემდე “ . ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს : სწორია მეცნიერი , როცა დაფანჩულში გვარსახელი დაინახა . გიორგი მერჩულე პირდაპირ გვეუბნება ახლაც (ე.ი.ერთი საუკუნის შემდეგ) გაბრიელ დაფანჩულის ნათესავი (ე.ი. ამ შემთხვევაში , შთამომავალნი) დაფანჩულის გვარს ატარებენო.“ [7 :275-276]

მაშასადამე , სხვადასხვა დროის მკვლევართა ნააზრევზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ , რომ ქართულ გვარსახელებს დიდი ხნის ისტორია აქვთ.

7.2. - ძე სუფიქსიანი გვარები

მრავალრიცხოვანი ქართული სუფიქსები , რომლებსაც ქართული გვარსახელები ირთავენ , ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოიშვა. უძველესი ქართული სუფიქსებია - იან (ან) , -ურ და - ეთ, რომლებიც ქართულ გვარებს კლასობრიობამდელი პერიოდის გვარებიდან გადმოჰყვავთ და როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა , ისინი ფეოდალურმა ინდივიდულიზმმა ამოაგდო , როდესაც კერძო საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად კი წარმოიქმნა გვარსახელების ახალი ფინალები (-ძე, შვილი , -ელ) რაც აშკარა შედეგი იყო მამაკაცის , მამის უპირატესი უფლებისა სამამულე ურთიერთობაში [7: 281].

სოფელ მოხისში დაახლოებით- 514 ოჯახი ცხოვრობს . ხოლო მაცხოვრებელთა რაოდენობა უკანასკნელი მონაცემებით 1400 სულს შეადგენს. სოფელში სულ 44 გვარია, ეს გვარებია:

1. ამბოკაძე.
2. ბუზალაძე.
3. ბაქრაძე.
4. ბოლქვაძე.
5. ბერიკაშვილი.
6. გოჩიაშვილი.
7. გელაშვილი.
8. გოქაძე.
9. დიასამიძე.
10. ელიაშვილი.
11. ედიშერაშვილი.

12. ზექალაშვილი.

13. თოთლაძე.

14. კაპანაძე.

15. კვალიაშვილი.

16. ლობჟანიძე.

17. ლუქუნიძე.

18. მესხი.

19. მალაჩინი.

20. მაისურაძე.

21. მიქელაძე.

22. ნერგაძე.

23. ნასყისდაშვილი .

24. ნავროზაშვილი.

25. ნოზაძე.

26. ნაკაშიძე.

27. რევაზიშვილი.

28. სოიტაშვილი.

29. სტეფნაძე.

30. სვიანაძე.

31. ტურაშვილი.

32. ფოჩხუა.

33. ქაროხნიშვილი.

34. ქელეხსაშვილი.

35. ქოქოშვილი.

36. ქასაპიშვილი.

37. ღვალაძე.

38. ყაულაშვილი.

39. შუკაკიძე.

40. ციცქიშვილი.

41. ხუციშვილი.

42. ჯანიაშვილი.

43. ჯოჯიშვილი.

44. ჯუხარიძე.

სოფელ მოხისში 2 დიდი გვარი გამოიყოფა:

1. ელიაშვილი.
2. ნოზაძე.

როგორც ვხედავთ , დღეისათვის სოფელ მოხისში ყველაზე მეტად გავრცელებულია - ძე და - შვილი სუფიქსიანი გვარები. . განვიხილოთ რამოდენიმე - ძე სუფიქსიანი გვარი:

მაისურაძე - საკუთარ სახელიდან მომდინარეობს , მაისურ, მაისურა.

მაისში დაბადებულთათვის დარქმეული, როგორც ანალოგიურია საკუთარი სახელები იანვარა (გვარში იანვარაშვილი), მარტა (მარტაშვილი) და ა. შ. [2: 421].

რაჭული წარმოშობის ქართული გვარია . მეფეთა მიერ შერქმეულია . ეს ამბავი ასე მოხდა : ვინმე აზნაურ დიდიძეს უმსახურია მეფის კარზე. იგი ყოფილა შესანიშნავი გარეგნობის, ბრგე ვაჟკაცი , ჭკვიანი და გონიერი, გაბედული , ამაყი, მტრის წინაშე შეუდრეკელი . მეფე მას გვერდიდან არ იშორებდა , პატივსა და დიდებას არ აკლებდა , როგორც კარგ მეომარს და მეფის ერთგულ კაცს . დიდიძის ბრწყინვალე გარეგნობა არ გამორჩენია მხედველობიდან მეფის მეუღლეს დედოფალს . დედოფლის მოჭარბებულმა ყურადღებამ დიდიძეს გააბედინა მასთან ახლო კავშირი დაეჭირა . ეს ამბავი მეფის ყურამდეც მისულა , მეფე განრისხებულა ძალიან , მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა . მეფეს უბრძანებია : ჯარის წინაშე გაეხადა ზედ ტანსაცმელი და დამდგარიყო მაისურის ამარა . ამ სურათის შემხედვარე მეფეს უთქვამს : ჩამომირთმევია გვარი დიდიძე

და წოდება აზნაურისა , მომიცია გვარი მაისურაძე და წოდება გლეხისა . ეს ბრძანება მეფეს ხარის ტყავზე დაუწერია. [17].

დიასამიძე - „ საკუთარი სახელი დიასამ იხსენიება 1676 წ. მაისის დამდეგს“. ყმობის ნასყიდობის წიგნში , გაცემული იესე ხერხეულიძის მიერ პაპუნა გერმანოზის შვილისადმი, მოწმედ დასახელებულია დ[ი] ასამ დ[ი] ასამიძე. (დოკ 1. 53).

დიასამიძის სახელი მაწყვერელის სამწყსოშია მოხსენიებული „ მაწყვერელი გვრგვნ - ბისონიანი არს: მისი სამწყსო ყვიბისი და სადგერი არს , სულ აწყვერილი დიასამიძის სახლი ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წასადგომამდი “. (იხ. დავით აღმაშენაბლის ანდერძი , 1125 წ, II , 53). კათალიკოსმა იოვანე დიასამიძეს მისცა ახალშენი საეკლესიო მოხელეთაგან ხელშეუვალობის წიგნი . დიასამიძე ვახუშტი , XVI ს. შუა წლების სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე მხარს უჭერდა ქართლის მეფის ლუარსაბ I - ის პოლიტიკას (ალგეთი, ახალშენი, ენაგეთი, და სამშობლო მესხეთია). [2:378].

7.3. - შვილი სუფიქსიანი გვარები

ელიაშვილი (1721 წ) , ელია (ბერძ) ,, მზიური“, ,,მზიანი“. იგივეა ილია (ძველი გამოთქმით ელია) ებრაულად „ სიმაგრე ღვთისა“ . ებრაულიდან შემოვიდა ბერძნულში , სადაც მიიღო მნიშვნელობა „მზიურისა“ , „მიანისა“. კნინობითი ფორმებია ქართულში : ილია, ილო, ილიკო (ზ. ჭუმბ, 145, 151). ელია გოლიათიძე , შალიკაშვილის ყმა- 1711- 1747 წწ. ერთ-ერთი თარხნიშვილის ყმების გამოსავლის ნუსხა (კოდ., I, 302). „ აქავ ხიზანი როსტომ საგინაშვილის ყმა, 1781 წ. ქიტია, ბეჟუა,

ივანე, ელია ელიაშვილები (ვახუშტი , 170); „ ქ. დრიანეთს, 1721 წ. გულია ელიაშვილი (, 170) ; „ ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა ქ. ვერხვნალას გელუა ელიაშვილი (იქვე, 137); „ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა ქ. კოხტას, 1721 წ. ივანა ელიაშვილი“ (იქვე , 135) [2:388].

სოფელ მოხისში ელიაშვილი იყოფა 4 განშტოებად :

1. ტარბიანები - ამ განშტოების კაცებს სქელი წარბები აქვთ და იმიტომ მიმართავენ ასე.
2. ფშატიანები - მათ განშტოებას საფუძვლად დაედო მათი გარეგნობა , ისინი ტანით პატარა ხალხი არიან , გამოლეულები, გამოფშუტულები და აქედან ეწდებათ ეს სახელი .
3. გლახაანები- თუ რატომ დაერქვა, ამ განშტოებას ეს სახელწოდება ადვილი მისახვედრია, მათ განშტოებაში კაცების უმრავლესობა გლახები არიან , ამბობენ თვითონვე ელიაშვილები.
4. ჯიჯინაანები - ამ განშტოებას საფუძვლად დაედო , მათი ხასიათი, ისინი ჯაჯღანა ხალხი არიან.

7.3.1. ეპონიმური ტიპის გვარსახელი

გვარების ყველაზე მეტად მრავალრიცხოვანი ჯგუფი ეპონიმურია , ე.ი. წარმოქმნილია წინაპრის სახელისაგან ან მეტსახელისაგან. განსაკუთრებით ბევრი გვარია ნაწარმოები ჩვენში გავრცელებული ზოგიერთი სახელისაგან , რომლებიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება როგორც სრული ფორმით , ისე კნინობითი ფორმებით . მათ დართული აქვთ როგორც - ძე და - შვილი , ასევე სხვადასხვა სუფიქსი .

გვარებში სახელების გამოყოფა და მაშასადამე, იმის გარკვევა, თუ რომელი სახელისაგან არის, ნაწარმოები ესა თუ ის გვარი , მეტწილად რმოშშსაგრძნობლად წარმოქნმილი გვარების მნიშვნელობის დადგენა საგანგებო დაკვირვების გარეშე უკვე შეუძლებელია.[15: 59]

გელაშვილი - ეპონიმური ტიპის გვარსახელია . მის შემადგენლობაში კომპონენტია : ფუძე -„ გელა“ და სუფიქსაცია - „ შვილი “ . გვარსახელის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის საკუთარი სახელი , ეპონიმი - „გელა“.

ძნელია საუბარი სისხლით ნათესაიბაზე თავად გელაშვილების გვარის შიგნითაც . გელაშვილები იმდენი არიან და იმდენგან ცხოვრობენ , რომ შეუძლებელია , ყველა ისინი ერთი წინაპრის , ერთი ვინმე გელას შთამომავლებად მივუჩნიოთ . საკუთარი სახელი „ მგელა“, ,,გელა“ ხომ ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საქართველოში და სავსებით შესაძლებელია , ერთნაირი ჟღერადობის გვარსახელები დამოუკიდებლად წარმოშობილიყო სხვადასხვა დროსა და სხვადასახვა მხარეში . ამდენად , აუცილებელი არ არის, მაგალითისათვის, იმერელ და მოხევე გელაშვილებში ერთმანეთის ბიძაშვილებად ჩავთვალოთ , თუმცა არც ამის უარყოფა შეიძლება.

გელაშვილთა გავარსახელით გაერთიანებულ გვარმოდენილობებს შორის იმერელი და წარმოშობით იმერელი გელაშვილები ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან. მათი ბუდე- პირველსაცხოვრისი ზემო იმერეთში, ძირულას ხეობაში , სოფელი ნადაბური ყოფილა. გადმოცემით, იმერელ გელაშვილებს მონაწილეობა მიუღიათ გელათის ტაძრის მშენებლობაში და ასევე გადმოცემით , გელათის წმინდა გიორგი ყოფილა გელაშვილთა უპირველესი სალოცავი. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ზეპირი გადმოცემებია და დოკუმენტურად არ დასტურდება [18].

გელაშვილების გვარი ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად ფიქსირდება XVII საუკუნეში კერძოდ , 1628 წლის კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ერთ-ერთ წყალობის წიგნში ნათქვამია : ,, ნადაბურელი თეიმურაზ [კახთა] მეფემ ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილღამბარს უბოძა აქ მოსახლე მგელაშვილების წყალობის

განახლების წიგნი “ (1628. X. 30 -Hd 14680). როგორც ამ საბუთიდან ირკვევა გელაშვილების წინაპრები სოფელ ნადაბურში იხსენიებიან მგელასვილებად . [1: 160].

ხუციშვილი - ხუც- ძირი უძველესია , იგი დადასტურებულია საყოველთაოდ გავრცელებულ ხუცეს-ში და საკუთარ სახელებში: ხუცა, ხუცია, ხუცუნა,ხუციკა, ხუცო, ხუცინა, ხუცურა, ხუცაური. მღვდლის მნიშვნელობა ხუცეს- მა და ხუცმა შემდეგში მიიღო თავდაპირველად კი უფროსს, მთავარს, მოთავეს ნიშნავდა. ხუციშვილთა გვართან დაკავშირებით ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში ,, ქართველი გრიგორიანელები “ წერს: ხუციშვილები , ქართველები არიან და ცხოვრობენ საქართველოს მრავალ კუთხეში . გვარის ძირია ქართული სიტყვა ხუცი. ძველად ამ გვარის რამდენიმე წევრმა ჯავახეთში კათოლიკობა მიიღო, ახალქალაქს რამდენიმე მცხოვრებელმა კი გრიგორიანობა . ხუციშვილთა ერთი ნაწილი აზნაური იყო. [17]

მოხისში მცხოვრები ხუციშვილები მზითვებში მოყოლილები არიან. ისინი თავდაპირველად გოხებზე დასახლებულან და, რადგანაც ამ მიწებზე მოსავალი არ მოდიოდა, ზემოთ ამოსახლებულან. სოფელ მოხისში მცხოვრები ხუციშვილებს - კოხიანებს ეძახიან.

დასკვნა

1.მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში წარმოვადგენთ სოფელ მოხისში დაცული ონომასტიკური მასალა , მოვახდინეთ მათი აღწერა და კლასიფიკაცია. ისტორიული წყაროების , დოკუმენტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველე დაყრდნობით , აღვწერთ სოფელში არსებული სიძველეები , გადმოვეცით სოფლის წეს- ჩვეულებები , ტრადიციები და დღესასწაულები.

2. ნაშრომის მიზანი იყო შეგვესწავლა და წარმოგვეჩინა ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ მოხისის ონომასტიკა. ჩვენ მიერ აღწერილი მასალებიდან გამომდინარე , შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელი მდიდარია ონომასტიკური მასალით, კერძოდ: ანთროპონიმებით (მეტსახელებით), ტოპონიმებით , ჰიდრონიმებით , ზოონიმებით. მათი კვლების პროცესში გამოვლინდა , უამრავი საინტერესო ენობრივი და ლექსიკური ერთეულები.

3. ანთროპონიმების (მეტსახელების) კვლევის პროცესში სოფელში გამოიყო მეტსახელთა 7 სემანტიკური ჯგუფი, რომელთა შინაარსი ერთმანეთისაგან განსხვავებულია . აღნიშნული სემანტიკური ჯგუფები გამოვყავით ცალ-ცალკე ქვეთემებად:

1.გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები.

2.ქცევისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელები.

3.თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები .

4.ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები

5.მამის სახელები მეტსახელებად.

6. კნინობით- მოფერებითი, ალერსისი გამომხატველი მეტსახელები.

7. უცნობი სემანტიკის მეტსახელები.

4. ტოპონიმიკური მასალის კვლევისას გამოიყო ტოპონიმთა სამი ძირითადი ჯგუფი:1. მარტივი, 2. წარმოქმნილი და 3. სიტყვათშეერტებით ნაწარმოები. აღნიშნული ჯგუფები გამოვყავით ცალ-ცალკე.

წარმოქმნილ სახელებში გამოიყო ტოპონიმთა პრეფიქს- სუფიქსური წარმოება (ნა- და სა- პრეფიქსებით), ასევე - ურ, -ულ-ა სუფიქსიანი ,- ებ სუფიქსიანი და თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები.

5. ჰიდრონიმების კვლევისას შევნიშნეთ, რომ ჰიდრონიმული მასალები სოფელში საკმაოდ ცოტაა, გამოვყავით მხოლოდ ძირეული და სიტყვათშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები.

6. კვლებისას აღიწერა სოფლის სიძველეები, კერძოდ: ეკლესიები, შინ მოუსვლელთა მემორიალი , მუხის ხე, ოლეს ხე, თელას ხე, ეპითაფიები.

7. სოფელში აღწერილია 44 გვარი , ყველაზე მეტად გავრცელებულია - შვილი და -ძე სუფიქსინაი გვარები.

-შვილი სუფიქსიან გვარებთან გამოიყო ეპონიმური ტიპის გვარები.

8. მიგვაჩნია , რომ სოფელში დაცული ონომასტიკური მასალის შესწავლით , მცირეოდენ წვლილს შევიტანთ ჩვენი ქვეყნის ონომასტიკური მასალის კვლევა- ძიებაში. თამამად შეგვიძლია იმის თქმა , რომ ქარელის რაიონი მდიდარია ონომასტიკური მასალით , თუმცა ხშირ შემთხვევაში მასში შემავალი სოფლების უმრავლესობა ამ მხრივ გაურკვეველია.

მოცემული ნაშრომით შევეცადე გადმომეცა ამ რაიონში შემავალი ერთ-ერთი სოფლის, კერძოდ სოფელ მოხისის ონომასტიკური მასალა. ვთვლით , რომ სამომავლოდ , საინტერესო იქნება ქარელის რაიონში შემავალი სოფლების ონომასტიკური მასალის შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ძ., ბურჯანაძე შ., მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I „ მეცნიერება“, თბილისი 1964.
2. ახუაშვილი ი., ქართული გვარ- სახელები ,, განათლება“, თბილისი 1994.
3. ბატონიშვილი ვ., ქართლის ცხოვრება, 1973.
4. ბედოშვილი გრ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, „მეცნიერება“,თბილისი 1980.
5. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, (მეორე გამოცემა), თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2008.
6. გოდერძიშვილი ქ., ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები , „უნივერსალი“, თბილისი 2012.
7. თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, „ენა და კულტურა“ თბილისი2005.
8. კილასონია ო., ქარელი ისტორიის ანალებში , „აღმაშენებელი“, თბილისი,1996.
9. მაკალათია ს., ფრონეს ხეობა , „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.
10. ოთინაშვილი ნ., ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელი , „საარი“, თბილისი 2016.
11. ოქროპირიძე ნ., ტოპონიმიკური ძიებანი, I „ფარნავაზი“ გორი, 2008.
12. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნიV, თბილისი 1990.

13. ღლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი , ნაწილი I, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი ,1971.

14. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, „ნაკადული“, თბილისი, 1987.

15.ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? „თეატრონი“, თბილისი , 1992.

16. ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა , „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“,თბილისი 2003.

ელექტრონული რესურსები:

17. იპოვე შენი გვარი და შენი წარსული-ინფორმაცია რომელასც საკუთარ ფესვებზე უნდა ფლობდე. [htt p// w.w.w. literature, mcvane. ge.]

18.ნაზღაიძე ალ., ვისი გორისა ხარ, ჟურნალი კარიბჭე, 2008

[http//karibche.ambebi ge. /skhvadaskhva/ qartuli gvarebi. Visi gorisa khar. html]

19.ტუაევა მ., ცრემლში , რომელიც უკანასკნელ გზაზე გაჰყვა მამა სამსონს, ერია ცრემლი მისი ცხენისა -არსებისა, რომელმაც საარაკოდ უერთგულა პატრონს.... 2007.

[http//karibche .ambebi.ge. skhvadaskhva / cremlshi romelic ukanasknel gzazegahyva mama samsons eria cremli misi ckhenisa -arsebisa romelmac saarakod uerthgula patrons.html]

საილუსტრაციო მასალა:

სურ : 1 მოხისის წმინდა გიორგი

სურ: 2 საფლავის ქვა, რომელიც არის წმინდა გიორგის ეკლესიაში

სურ: 3 ღვთისმშობლის კოშკი

სურ : 4 მოხისის სვეტიცხოვლის ეკლესია

სურ : 5 წმ. გიორგის ეკლესია

სურ : 6 კვირაცხოვლის ეკლესია



სურ: 7 წარწერა, რომლიდანაც ვიგებთ, თუ როდისაა აგებული კვირაცხოვლის ეკლესია

სურ : 8 მუხის ხე



სურ: 9 თელას ხე

სურ : 10 ოლეს ხე